§ 42. თუ კუთვნილებითი ნაცვალსახელი წინადადებაში ზმანსთანაა დაკავშირებული, ან დამოუკიდებლად იხმარება, უთუოდ მიიღებს მსაზღვრელ ნაწევარს **რ**-ს ან **ზ**-ს: **ქმრ**, **ქონრ**, **მსრღ**, **მსრღ**, **ქრსზრ**, **ქრსზერ** (**ქონრ**, როგორც ვხედავთ, ორმაგადაა განსაზღვრული: **ქო**+**ზ**+**ქრ**. უნდა ყოფილიყო **ქონზ**, მაგრამ **ზ**-ს დართვის შემდეგ იგი ფუძის კუთვნილებად იქნა მიჩნეული და სხვების ანალოგიით **ღ**-ც

დაურთავს). ასე დამოუკიდებლად ხმარებისას შეიძლება ყველა კუთვნილებითი ნაცვალსახელის ბრუნება.

	მხ. რ.		მრ. რ.
<i>იღვ.</i>	<i>ჩამღ</i>		<i>ამსრრ</i>
<i>ახლ.-თრ.</i>	<i>ჩამჩ(ზ)</i>		<i>ამსრჩ(ზ)</i>
<i>რავ.</i>	<i>ჩამჩყ</i>		<i>ამსრჩყ</i>
<i>ვირბ.</i>	<i>ჩამიქ</i>		<i>ამსრიქ</i>
<i>ზსრყ.</i>	<i>(ჩამიამ)</i>		<i>(ამსრიამ)</i>

§ 43. კითხვითი და მიმართებითი ნაცვალსახელებია: *იქ, ჩიხჯ, იწრ, ირგან, განხ, განხან, ჩიხჯან, ირგან, ჩიხჯან, ირგან, ირგან, ირგან, ჩიხჯან, განხიწიწი, ირგან, აგრეთვე მზნიხელები: ირგან, -სად, სწრ, როდის?.*

ამათი ბრუნება ასეთია:

მხოლოდითი რიცხვი

<i>იღვ.</i>	<i>იქ</i>	<i>ჩიხჯ(ღ)</i>	<i>იწრ(ღ)</i>	<i>განხან</i>	<i>ირგან(ღ)</i>	<i>სწრ</i>
<i>ახლ.-თრ.</i>	<i>იქამ</i>	<i>ჩიხჯჩ(ზ)</i>	<i>იწრჩ(ზ)</i>	<i>განხიხჩ(ზ)</i>	<i>ირგანიჩ(ზ)</i>	<i>სწრქ(ზ)</i>
<i>რავ.</i>	<i>იამჩყ</i>	<i>ჩიხჯჩყ</i>	<i>იწრჩყ</i>	<i>განხიხჩყ</i>	<i>ირგანიჩყ</i>	<i>სწრქანჩყ</i>
<i>ვირბ.</i>	<i>იამიქ</i>	<i>ჩიხჯიქ</i>	<i>იწრიქ</i>	<i>განხიხჩიქ</i>	<i>ირგანიჩიქ</i>	<i>სწრქანიქ</i>
<i>ზსრყ.</i>	—	<i>ჩიხჯიამ</i>	<i>იწრიამ</i>	<i>განხიხჩიამ</i>	<i>ირგანიჩიამ</i>	—

მრავლობითი რიცხვი

<i>იღვ.</i>	<i>იქგნრ</i>	<i>ჩიხჯნრ(ღ)</i>	<i>იწრნგ</i>	<i>განხიხჩნრ</i>	—	—
<i>ახლ.-თრ.</i>	—	<i>ჩიხჯნრჩ(ზ)</i>	<i>იწრნყ</i>	<i>განხიხჩნრჩ(ზ)</i>	—	—
<i>რავ.</i>	—	<i>ჩიხჯნრჩყ</i>	<i>იწრნყჩყ</i>	<i>განხიხჩნრჩყ</i>	—	—
<i>ვირბ.</i>	—	<i>ჩიხჯნრიქ</i>	<i>იწრნყიქ</i>	<i>განხიხჩნრიქ</i>	—	—
<i>ზსრყ.</i>	—	<i>ჩიხჯნრიამ</i>	<i>იწრნყიამ</i>	—	—	—

როგორც ვხედავთ, ამათგან მხოლოდ *იქ*-ის ბრუნება მოგვაგონებს ძველი სომხურის ფორმებს, მაგრამ დაწყებითსა და მოქმედებით-ში ესეც ახალი სომხურის ზოგადი სახელების შესაბამისი ბრუნვების დაბოლოებით წარმოგვიდგება. ასევე *იწრ* ნაცვალსახელის მრ. რ.-ის ფორმები ძველი სომხურის ფორმებს ჰგავს. დანარჩენები მთლიანად ახალი სომხურის ზოგადი სახელებივით ფორმდებიან.

მიმართებითი ნაცვალსახელები იგივე კითხვითი ნაცვალსახელე-ბია, ოღონდ მიმართებითად გამოყენების შემთხვევაში კითხვის ნიშანი (წარმოთქმაში—სათანადო ინტონაცია) აღარ ექნებათ.

§ 44. ურთიერთობითი ნაცვალსახელებია: *ჩიყარ, მიქანხე, მსქმსქილ || მსქმსქილ* „ერთმანეთი“, „ურთიერთი“.

ანათ მსოლოდ ასეთი ფორმები აქვთ:

<i>იღყ.</i>	—	—	—
<i>ასი.-თრ.</i>	<i>აქამანვ</i>	<i>ქრარ</i>	<i>მსკმსკილ</i>
<i>რავ.</i>	<i>აქამანვჩვ</i>	<i>ქრარჩვ</i>	<i>მსკმსკილუ    მსკმსკჩვ</i>
<i>ყიძბ.</i>	<i>აქამანვილ</i>	<i>ქრარილ</i>	<i>მსკმსკილ</i>
<i>ზსრყ.</i>	—	—	—

§ 45. განსაზღვრებითი ნაცვალსახელებია:

*ქამსნახს || ამსს, ამსსტრ, რიორდ, ზამანს, კორადანჯიორ, ამროილ, იღქ (რ), ამსს ჩხვ, კორადანჯიორ იტ, ამსს იტ, ამსს მსკ, ამსს მქ...*

როცა ეს სახელები მსაზღვრელადაა გამოყენებული, ფორმაუცვლელია (*კორადანჯიორ იტ* და *ამსს იტ* სხვა შემთხვევაში არც გამოიყენება, მაშასადამე, მხოლოდ ამ ფორმით გვხვდება). სხვები კი შეიძლება წინადადების დამოუკიდებელ წევრებადაც მოგვევლინონ და ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ, ზოგადი სახელებივით იბრუნვიან:

<i>იღყ.</i>	<i>რიორ(დ)</i>	<i>კორადანჯიორ(რ)</i>
<i>ასი.-თრ.</i>	<i>რიორჩ(ხ)</i>	<i>კორადანჯიორჩ(ხ)</i>
<i>რავ.</i>	<i>რიორჩვ</i>	<i>კორადანჯიორჩვ</i>
<i>ყიძბ.</i>	<i>რიორილ</i>	<i>კორადანჯიორილ</i>
<i>ზსრყ.</i>	<i>(რიორჩ მსქ)</i>	<i>(კორადანჯიორჩ მსქ)</i>

მრ. რ. არა აქვთ.

ასევე იბრუნვის *ამსს* (ნათ.-მიც. *ამსსჩ*, მაგრამ მრავლობითისათვის იყენებს *ამსსტ* (ნათ.-მიც *ამსსტჩ*). *ამსსტ* გამოიყენება მხოლოდ პიროვნებისათვის.

§ 46. ვანუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია:

*რუ-ორ, ჩხ-ჩხვ, იამს, მსკტ, აქამჩვ, აქამჩხვ, მქ რამჩად, მქოს, იორჩ, აქ, იქსს, ირსს, მარყ, მქ ჟანჩ* (მოძველებულია: *ირსჩეს, ჩხვსჩეს, მქს || მქხდ*). მსაზღვრელად გამოიყენებისას, ცხადია, ეს სახელებიც ფორმაუცვლელნი არიან. სხვა შემთხვევაში იბრუნვიან და შემდეგ თავისებურებებს ამჟღავნებენ: *იამს მხ*. რ-ში მხოლოდ ამ ფორმით იხმარება (ე. ი. არ იბრუნვის), მრ. რ-ში კი გრაბარის გაფორმებას მოგვაგონებს: საბ. *იამანტ*, ნათ.-მიც. *იამანუ*, დაწყ. *იამან-ეჩვ*, მოქმ. *იამანვილ*, ადგ. არა აქვს.

*მქოს* „მეორე, სხვა, ვიღაც“ მიუთითებს ორიდან ერთს, ამიტომ მუდამ განსაზღვრულია. ვანუსაზღვრელობის შემთხვევაში მას ენაცვლება *იორჩ* „სხვა“. ორივე იბრუნვის *ჩ* ბრუნებით.

*მქს || მქხდ* იგივე ძვ. სომხურის *მქ* „ერთი“ არის *ზ* მსაზღვრე-

ლი ნაწევრით, რომელიც ფუძეს შეზრდია და ამიტომ *აქსე* ფორმაში ისევ დაურთავს მსაზღვრელი ნაწევარი—*ღ*. იბრუნვის ჩვეულებრივ: ნათ.-მიც. *აქსე(ღ)*, დაწყ. *აქსეჲ*, მოკმ. *აქსიჲ*, ადგ. *აქსიამ*, მრ. რ. არა აქვს.

სხვები ჩვეულებრივ *ქ* ბრუნებას მიჰყვებიან.

§ 47. უარყოფითი ნაცვალსახელებია: *იჲ იჲ*, *იჲ მსკღ*, „არაეინ“ *იჲქსჲ* „არარა, არაფერი“. არც ერთს მრ. რ.-ის ფორმა არა აქვს. დამოუკიდებელად ხმარებისას მხოლოდით რიცხვში ზოგადი სახელივით იბრუნვის, ხოლო თუ მსაზღვრელადაა, ცხადია, ყველა მათკანი უბრუნველია.

სახ.	<i>იჲ იჲ</i>	<i>იჲ მსკღ</i> ,	<i>იჲქსჲ</i>
ნათ.-მიც.	<i>იჲ იჲქ</i>	<i>იჲ მსკქ</i> ,	<i>იჲსქ</i> და სხვ.

*იჲ იჲ* გრამბარიდან მოდის. ბრუნებისას მსაზღვრელ ნაწევარს არ იღებს, ხოლო მისი აშხარაბარისეული მონაცვლე *იჲ მსკ* ამ ნაწევარს ირთავს.

## ზ მ ნ ა

### უ ლ ლ ე ბ ა

§ 48. ძველი სომხურის უღლების სისტემა ახალ სომხურში მთლიანად შეცვლილია: ძველი სომხური ზმნის ფორმებს მხოლოდ და მხოლოდ ორგანულად აწარმოებდა, ახალ სომხურში ნაწილობრივ შენარჩუნებულია ზმნის ორგანული წარმოება, მაგრამ კარბობს ანალიზური, ე. ი. ზმნის ფორმათა უმეტესობა იწარმოება აღწერიითა—მიმლეობითა და დამხმარე ზმნით.

ძველი სომხურის ხუთი უღლება (*ა, ხ, ქ, ი, ია* უღლებანი) ახალში დაყვანილია ორამდე—*ა* და *ხ* უღლებანი. მწკრივთა რაოდენობაც საგრძნობლად გაზრდილია: ძველ სომხურში, ბრძანებითების ჩათვლევად, 5 მწკრივი გვექონდა ზმნისა, ახალში იგი 14-მდეა აყვანილი, სოლო თუ „იძულებითი კილოს“ ფორმებსაც მივითვლით, მწკრივთა რაოდენობა 16-მდე გაიზარდება.

ახალ სომხურში გვხვდება საესებით ისე წარმოებული მწკრივებიც, როგორც ძველ სომხურში გვექონდა, მაგრამ ამ მწკრივთა გრამატიკული შინაარსი უმეტესად შეცვლილია; მაგ., *ყრქამ* (<*ყრქე*) ძველ სომხურში თხრობითი კილოს ახლანდელი დროის მხ. რ. I პირის ფორმა იყო, ახლა კი „ნატვრითი კილოს“ მხ. რ. I პირის ფორმაა. ასევე, *ყრქაქ* იმავე ზმნის თხრობითი კილოს უწყვეტლის მხ. რ.

I პირის ფორმა იყო, ახლა პირობითი კილოს მხ. რ. I პირის ფორმა და სხვ.

§ 49. ზმნის საწყისი ახალ სომხურში მხოლოდ ორი დაბოლოებით გვხვდება—*აქ* და *ღქ*-ით. ამ დაბოლოებათაგან ბოლოკიდური *ქ* საწყისისაა, წინამავალი ხმოვანი თემატურია. ამ ხმოვნის მიხედვით განსაზღვრავენ ზმნის უღლებასაც და ამბობენ—ესა და ეს ზმნა *ა* ან *ღ* უღლებას განეკუთვნებათ. ამიტომ ამ ხმოვნებს *ქ*თხარაქ „მაუღლებელი“ ეწოდება სომხურ გრამატიკულ ლიტერატურაში. უღლებას რიგითი სახელითაც აღნიშნავენ: *ღქ* დაბოლოებიანებს პირველს უწოდებენ, *აქ* დაბოლოებიანებს—მეორეს. *აქ* და *ღქ* დაბოლოებანი მიერთვის ან ზმნის ძირს (მარტივი აგებულების ზმნებში—*ყრ-ღქ*, *ღარღ-აქ*), ან რაიმე ჩანართით გართულებულ იმავე ძირს (*თსა-ზ-ღქ*, *ქასა-ღ-ღქ*, *მით-ღს-აქ*, *ღარღ-ან-აქ*) რთული აგებულების ზმნებში.

§ 50. ზმნის მწკრივთა საწარმოებლად, როგორც აღვნიშნეთ, გამოყენებულია მიმლეობები და დამხმარე ზმნები, ან ისევე ძველი სომხურისებურად წარმოებული ფორმები, მაგრამ ამ უკანასკნელთ გრამატიკული შინაარსი აქვთ შეცვლილი. ძველი სომხურისებურად წარმოებული ფორმებისათვის გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ ძველი სომხურის თხრობითი კილოს აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივთა ფორმები, ხოლო ძველი სომხურის წყვეტილის მწკრივი ახალ სომხურში თითქმის საესებით უცვლელადაა შენარჩუნებული ფორმითაც და შინაარსითაც. დამხმარე ზმნებიც მხოლოდ ძველი სომხურის აწმყოსა და უწყვეტლის მწკრივებს იმეორებს თითქმის უცვლელად (ფორმითაც და გრამატიკული შინაარსითაც). ამით აიხსნება, რომ, მოუხდავად სომხური ზმნის უღლებაში მომხდარი უდიდესი ცვლილებებისა, ახლაც აშკარად იგრძნობა ახალი სომხური ენის ძველთან მჭიდრო კავშირი, იგრძნობა, რომ ახალი სომხური ძველიდან ამოდის, რომ იგი მისი პირდაპირი მემკვიდრეა.

§ 51. ზმნის ფორმათა წარმოება რომ შევძლოთ, უნდა ვერკვეოდეთ აგრეთვე ზმნის აღნაგობასა და ფუძეების წარმოებაში. აღნაგობით ზმნა შეიძლება იყოს მარტივი ან რთული. მარტივი აღნაგობის ზმნებს თემატური ხმოვანი და საწყისის დაბოლოება (*აქ*, *ღქ*) სუფთა ძირზე ერთვის, რთული აღნაგობის ზმნებს კი ამ დაბოლოებათა და ძირს შორის რაიმე ზმნური ჩანართიც ექნებათ. ეს ზმნური ჩანართებია: *-ან*, *-ღს*, *-ღ*, *ღ*: *ღარღ-ან-აქ*, *მით-ღს-აქ*, *თსა-ზ-ღქ*, *ქასა-ღ-ღქ*. *-ან*- და *-ღს*- ჩანართიან ზმნებს მხოლოდ *აქ* დაბოლოება შეუძლიათ ჰქონდეთ, *-ღ*- და *ღ*- ჩანართიანებს კი—*ღქ* დაბოლოება.

ზმნის მწკრივების საწარმოებლად გამოიყენება სხვადასხვა ფუძე:

1. აწმყოსი, 2. ნატვრითის, 3. საწყისი და 4. ნამყოსი. აწმყოს ფუძე იწარმოება ზმნის საწყისის ფორმიდან თემატური ხმოვნისა და საწყისის ნიშნის ჩამოცილებით: *ყრსლ-ყრ*, *ქარყალ-ქარყ*, *თსანსლ-თსანს*, *ქაქაქსლ-ქაქაქს*, *მოთსნალ-მოთსნ*, *ქამანალ-ქამან* და სხვა.

საწყისი ფუძე თვით საწყისია.

ნატვრითის ფუძე იწარმოება ზუსტად ისევე, როგორც ძველი სომხურის აწმყოს ფუძე—საწყისის ფორმიდან მხოლოდ საწყისის ნიშნის (*ლ*) ჩამოკვეციტ: *ყრსლ-ყრს*, *ქარყალ-ქარყალ*, *თსანსლ-თსანსს*, *ქაქაქსლ-ქაქაქსს*, *მოთსნალ-მოთსნალ*, *ქამანალ-ქამანალ* და სხვ.

ნამყოს ფუძე კი სხვადასხვა აღნაგობის ზმნიდან სხვადასხვაგვარად იწარმოება ისევე, როგორც ეს გვექონდა ძველ სომხურში; მაგალითად, მარტივი აგებულების ზმნები ნამყოს ფუძის საწარმოებლად ნატვრითის ფუძეზე (ძვ. სომხურში იგი აწმყოს ფუძე იყო) *ე* მავრცობს დაირთავს: *ყრსლ* > ნატვრითის ფუძე *ყრს* > ნამყოს ფუძე *ყრსე*, *ქარყალ* > ნატვრითის ფუძე *ქარყალ* > ნამყოს ფუძე *ქარყალე* და სხვა. რთული აგებულების *სლ* დაბოლოებიანი ზმნები მოიკვეციენ ამ (*-სლ*) დაბოლოებას და რაც დარჩება, ნამყოს ფუძე იქნება: *ქაქაქსლ-ქაქაქს*, *თსანსლ-თსანს*.

რთული აგებულების *ალ* დაბოლოებიანი ზმნები (ე. ი. -*ანს*-, *-სს*-ჩანართიანები) მოიკვეციენ საწყისის ნიშანს (*-ლ*), ხოლო ჩანართისეულ *ზს*-*ე*-თი შეცვლიან: *მოთსნალ-მოთსნე*, *ქამანალ-ქამანე*.

§ 62. აღნიშნულ შენიშვნათა შემდეგ უკვე საკმარისია გავვეცნოთ უღლებაში გამოყენებულ დამხმარე ზმნის ფორმებსა და მიმღეობებს, რომ დაუბრკოლებლად შეეძლოთ ყოველი ზმნის უღლება..

უღლებაში გამოყენებული დამხმარე ზმნის ფორმებია:

აწმყო	უწყვეტელი
1. <i>სმ</i>	<i>სქ</i>
2. <i>სა</i>	<i>სქრ</i>
3. <i>ს</i>	<i>სრ</i>
1. <i>სზე</i>	<i>სქზე</i>
2. <i>სრ</i>	<i>სქრე</i>
3. <i>სს</i>	<i>სქს</i>

სხვა ფორმები ამ ზმნას ახალ სომხურში არ გააჩნია.

მიმღეობათაგან კი უღლებაში გამოყენებულია შემდეგი:

1) *იამ* დაბოლოებიანი აწმყოს მიმღეობა (სომხური გრამატიკების *ანსკათაყ რსრისაყ* „უსრული მიმღეობა“) იწარმოება აწმყოს ფუძიდან (ე. ი. -*იამ* დაბოლოება დაერთვის აწმყოს ფუძეს): *ყრსლ-ყრიამ*, *ქარყალ-ქარყრიამ*, *ზათსლ-ზათრიამ*, *ქაქაქსლ-ქაქაქრიამ*,



*თსანსკ—თსანოამ, მოთხნაკ—მოთხნოამ, ვარყანსაკ—ვარყანოამ...*

ეს მიმღეობა დამხმარე ზმნასთან ერთად აწარმოებს გარკვეულ მწკრივებს. დამოუკიდებლად კი იგი არასოდეს გამოიყენება წინადადებაში.

2) *ქა* დაბოლოებიანი აწმყოს მიმღეობა (სომხური გრამატიკების *ანსკასთარ ვერრაკ* „უსრული მიმღეობა“) იწარმოება საწყისის ფუძიდან, ამ (საწყისის) ფორმაზე *-ქა* ფორმანტის დართვით: *თაკ—თაკქა, ცაკ—ცაკქა, ვაკ—ვაკქა... ვრსკ—ვრსკქა, ჯარჯაკ—ჯარჯაკქა...* და სხვ. ამ მიმღეობით ზმნის გარკვეულ მწკრივებს აწარმოებს მხოლოდ სამი ზმნა: *თაკ, ცაკ* და *ვაკ*, რომელთაც არ შეუძლიათ *იამ* დაბოლოებიანი აწმყოს (უსრული) მიმღეობის წარმოება. სხვა ზმნათაგან წარმოებული ეს მიმღეობა კი დამოუკიდებლად იხმარება წინადადებაში დროის გარემოების აღსანიშნავად, ან ე. წ. ზმნის „მეორადი აღწერიითი ფორმების“ საწარმოებლად (§§ 90—91).

3) მომავლის მიმღეობა (სომხური გრამატიკების *საყაანსკ ვერრაკ* „მომავალი მიმღეობა“) იწარმოება საწყისის ფუძიდან, ე. ი. საწყისის ფორმაზე *-ილ* ფორმანტის დართვით: *ვრსკ—ვრსკილ, ჯარჯაკ—ჯარჯაკილ, ზათსკ—ზათსკილ, მოთხნაკ—მოთხნაკილ, ვარყანსაკ—ვარყანსაკილ...* გარდა იმისა, რომ ეს მიმღეობა დამხმარე ზმნასთან ერთად გარკვეულ მწკრივებს აწარმოებს, იგი გამოიყენება წინადადებაში დამოუკიდებლად (მიზნის გარემოებად) და ე. წ. ზმნის „მეორადი აღწერიითი ფორმების“ საწარმოებლად (§§ 90—91).

4) *სკ* დაბოლოებიანი ნამყოს მიმღეობა (სომხური გრამატიკების *ქაგასკასთარ ვერრაკ* „წინარე სრული მიმღეობა“) იწარმოება ნამყოს ფუძეზე *სკ* (<ძველი სომხურის *საკ*) ფორმანტის დართვით, ოღონდ თუ ზმნა მარტივი აგებულებისაა და პირველ (*ს*) უღლებას ეკუთვნის (ე. ი. *სკ* დაბოლოებიანი მარტივი ზმნები), ამ ფორმანტს აწმყოს ფუძეზე ირთავს, რის გამოც ასეთი ზმნების საწყისი და „წინარე სრული მიმღეობა“ ერთმანეთისაგან აღარ განსხვავდება; ამრიგად: *ჯარჯაკ—ჯარჯაკსკ, თაკ—თაკსკ, ვარყანსაკ—ვარყანსაკსკ, მოთხნაკ—მოთხსკ, ქაჩაჯსკ—ქაჩასსკ, ვანსკ—ვანსკ, ქოჯსკ—ქოჯსკ*, მაგრამ *ვრსკ—ვრსკ, ზათსკ—ზათსკ, ქარსკ—ქარსკ*. *სკ* დაბოლოებიანი ნამყოს მიმღეობა მხოლოდ ზმნის გარკვეული მწკრივების საწარმოებლად იხმარება, დამოუკიდებლად არასოდეს გამოიყენება წინადადებაში.

5) *აბ* დაბოლოებიანი ნამყოს მიმღეობა (სომხური გრამატიკების *ჯარასკასთარ ვერრაკ* „მუდმივ სრული მიმღეობა“) საესებით ისევე იწარმოება, როგორც *სკ* დაბოლოებიანი ნამყოს მიმღეობა. განსხვავება მხოლოდ დაბოლოებაშია. ე. ი. *აბ* დაბოლოება დაერ-

თვის ნამყოს ფუძეს, თუ ზმნა მარტივი აგებულების *ს* დაბოლოებ-  
ბიანი არაა. ეს უკანასკნელი კი ამავე დაბოლოებას დაირთავენ აწ-  
მყოს ფუძეზე, რაც იგივე ზმნის ძირია. ე. ი. ასეთი ზმნები *ს* და-  
ბოლოებას ჩამოიცილებენ და მის მაგიერ *აბ*-ს დაირთავენ; ამრიგად:  
*ყრს*—*ყრაბ*, *ზათს*—*ზათაბ*, *კარყა*—*კარყაბ*, *ყარყანა*—  
*ყარყაბ*, *ათანს*—*ათანაბ*, *მითსნა*—*მითსნაბ*...

*აბ* დაბოლოებიანი ნამყოს მიმღეობა წინადადებაში დამოუ-  
კიდებლადაც გამოიყენება. იგი შეიძლება იყოს, უწინარეს ყოვლისა,  
მსაზღვრელი, რომელიც შეიძლება გაარსებითდეს და მოგვევლინოს  
ქვემდებარედ, დამატებად, გარემოებად. იგი გამოიყენება ე. წ. „მო-  
რადი აღწერიითი დროების“ საწარმოებლადაც (§§ 60—92).

*აბ* დაბოლოებიანი ნამყოს მიმღეობა მწკრივის საწარმოებლად  
დაუბრკოლებლად გამოიყენება თუ ზმნა მედიოპასიურია; აქტიური  
ზმნებიდან კი მწკრივების წარმოება ამ მიმღეობას ვენებითში გადასვ-  
ლის შემდეგ შეუძლია: *ზათაბ* & „ზის“ მაგრამ *ყრსაბ* & „სწერია“  
და არა *ყრაბ* & (§§ 65—76).

სპეციალურ ლიტერატურაში ზემოხსენებული მიმღეობები იმ სა-  
ხელითაც იხსენიებიან, რასაც ჩვენ ვხმარობთ, მაგრამ გრამატიკებში  
მათ ზოგჯერ სხვა სახელებსაც უწოდებენ: უსრული მიმღეობა || აწ-  
მყოს მიმღეობა (*სერესი* *ყერესი*), მომავლის მიმღეობა || შესასრულე-  
ბელი (*კათარესი*) მიმღეობა (ამ უკანასკნელი სახელის გამოყენება ამ  
ბოლო ზანებში დაიწყო ზოგმა გრამატიკოსმა), წინარე სრული || *ს*  
დაბოლოებიანი ნამყოს (*ანესი*) მიმღეობა და მუდმივ სრული მიმ-  
ღეობა || *აბ* დაბოლოებიანი ნამყოს (*ანესი*) მიმღეობა.

ბ) რაკი მიმღეობებზე ვლაპარაკობთ, აქვე გავეცნოთ ერთ მიმ-  
ღეობასაც, რომელიც შემდეგ ზმნის უარყოფითი ფორმების წარმოე-  
ბის შესწავლისას გამოგვადგება. ეს მიმღეობაა *ქათასკან* *ყერესი*  
„უარყოფის (უარყოფითი) მიმღეობა“, რომელიც ჯერ კიდევ XIX  
საუკუნის ავტორებთან დამოუკიდებელ ფორმას არ წარმოადგენდა და  
იგივე ზმნის საწყისი იყო, ოღონდ *ს* დაბოლოებიანი ზმნებისათვის  
*ს* დაბოლოებით. ახლა მას საწყისის -*ს* ჩამოცილებული აქვს და ვი-  
ლებთ ასეთ ფორმებს—*კარყა*—*კარყა*, *ქარყა*—*ქარყა*, *მითს-*  
*ნა*—*მითსნა*, *ყარყანა*—*ყარყანა*... ხოლო *ს* დაბოლოებიანი  
ზმნებიდან—*ყრს*—*ყრს*, *ზათს*—*ზათს*, *ათანს*—*ათანს*, *ყათს*—  
*ყათს*, *მითს*—*მითს*..., ე. ი. *ს* დაბოლოებიან ზმნებს საწყისის -*ს* ჩა-  
მოცილებული აქვთ, ხოლო თემატური *ს* შეუცვლიათ *ს* ხმოვნით.  
ამრიგად, ეს მიმღეობა ნატვრითის ფუძიდან იწარმოება.

ეს მიმღეობა ზმნის უარყოფითი ფორმების ორ მწკრივს აწარ-  
მოებს. სხვა გამოყენება მას არა აქვს.

7) დარჩა ერთი მიმღეობა. იგი ზმნის მწკრივების საწარმოებლად არ გამოიყენება, მაგრამ რაკი ყველა მიმღეობის წარმოებას გავეცანით, ამასაც შევეხებით. ეს მიმღეობაა **სნქსაკუასკას ფსრრყ** „ჩქვემდებარული მიმღეობა“. იგი მოქმედ სახელს მიუთითებს და იწარმოება **იი** სუფიქსით, რომელიც **სლ** დაბოლოებიან ზმნებს ნამყოს ფუძეზე დაერთვის, ხოლო **სლ** დაბოლოებიანებს — აწმყოს ფუძეზე: **ფსაკ—ფსაფიი, ფარფასაკ—ფარფაფიი, ღარფაკ—ღარფაფიი, ფრსლ—ფრიი, ქიკსლ—ქიკიი, თისასლ—თისაფიი** და სხვ.

სომხურ გრამატიკულ ლიტერატურაში საწყისიც მიმღეობებშია ჩათვლილი და მას **ასირიი ფსრრყ** „განუსაზღვრელი მიმღეობა“ ეწოდება (მისი წარმოების შესახებ იხ. § 49).

**§ 53.** აღნიშნულ მიმღეობათაგან **ქს** დაბოლოებიანი აწმყოს მიმღეობა, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ სამს ზმნისათვის გამოიყენება, ხოლო **იი** დაბოლოებიანი მიმღეობა მწკრივების წარმოებაში არ მოწაწილეობს. უარყოფითი მიმღეობაც ზმნის მხოლოდ უარყოფითი ფორმების საწარმოებლად გამოიყენება და ჯერჯერობით არ გვეკირდება. დანარჩენებს რომ ერთად მოვუყაროთ თავი **სასსლ** და **ფსაკ** ზმნების მიხედვით, ასეთი სურათი წარმოგვიდგება:

<b>სასთილ</b>	<b>ფსთლ</b>	(აწმყოს მიმღეობა)
<b>სასთსლ</b>	<b>ფსასლ</b>	(მომავლის მიმღეობა)
<b>სასსლ</b>	<b>ფსაფსლ</b>	( <b>სლ</b> დაბოლოებიანი ნამყოს მიმღეობა)
<b>სასთაბ</b>	<b>ფსაფაბ</b>	( <b>აბ</b> დაბოლოებიანი ნამყოს მიმღეობა)

თითოეულ ამ მიმღეობას დაერთვის დამხმარე ზმნა აწმყოს ფორმებით (მიმღეობა კი უცვლელად რჩება) და ვიღებთ გარკვეულ მწკრივს, ახ იმავე მიმღეობას დაერთვის დამხმარე ზმნა უწყვეტლის ფორმებით და ვიღებთ სხვა მწკრივს (მიმღეობა აქაც უცვლელია). მაშასადამე, ზემოჩამოთვლილი ოთხი მიმღეობა დამხმარე ზმნების მეშვეობით აწარმოებს ზმნის 8 მწკრივს:

<b>ფსთლ</b>	{	<b>სმ</b>	<b>სა</b>	<b>ტ</b>	<b>სნფ</b>	<b>სფ</b>	<b>სზ (1)</b>
<b>სასთილ</b>		<b>ტქ</b>	<b>ტქრ</b>	<b>ტრ</b>	<b>ტქნფ</b>	<b>ტქფ</b>	<b>ტქზ (2)</b>
<b>ფსასლ</b>	{	<b>სმ</b>	<b>სა</b>	<b>ტ</b>	<b>სნფ</b>	<b>სფ</b>	<b>სზ (1)</b>
<b>სასთსლ</b>		<b>ტქ</b>	<b>ტქრ</b>	<b>ტრ</b>	<b>ტქნფ</b>	<b>ტქფ</b>	<b>ტქზ (2)</b>
<b>ფსაფსლ</b>	{	<b>სმ</b>	<b>სა</b>	<b>ტ</b>	<b>სნფ</b>	<b>სფ</b>	<b>სზ (1)</b>
<b>სასთსლ</b>		<b>ტქ</b>	<b>ტქრ</b>	<b>ტრ</b>	<b>ტქნფ</b>	<b>ტქფ</b>	<b>ტქზ (2)</b>
<b>ფსაფაბ</b>	{	<b>სმ</b>	<b>სა</b>	<b>ტ</b>	<b>სნფ</b>	<b>სფ</b>	<b>სზ (1)</b>
<b>სასთაბ</b>		<b>ტქ</b>	<b>ტქრ</b>	<b>ტრ</b>	<b>ტქნფ</b>	<b>ტქფ</b>	<b>ტქზ (2)</b>

შენიშვნა: ტრადიციული გრამატიკიდან ამოვდივართ, რო-  
დესაც ასე ვმსჯელობთ. ნამდვილად კი ერთ სიბრტყეზე ვერ  
მოთავსდება ყველა ზემოაღწერილი ფორმა, ე. ი. ყველა მათგანი  
მიმლეობად ვერ ჩაითვლება. როგორც მათი აღწერის დროსაც  
შეინიშნებოდა, ზოგი მიმლეობა მხოლოდ ზმნის ფორმათა სა-  
წარმოებლად გამოიყენება და მხოლოდ და მხოლოდ *სმ* დამხმა-  
რე ზმნის ფორმებთან ერთად აკეთებს ზმნის მწკრივებს (ასეთე-  
ბია *სმ* დაბოლოებიანი „უსრული მიმლეობა“ და *სქ* დაბო-  
ლოებიანი „ნამყოს მიმლეობა“). დანარჩენები კი დამოუკიდებ-  
ლადაც გამოიყენებიან წინადადებაში—ზოგი სახელის, ზოგიც  
ზმნიზედის მნიშვნელობით. მაშასადამე, ის, რაც ტრადიციული  
გრამატიკით მიმლეობებადაა ცნობილი, შეიძლება იყოს ნამდვი-  
ლი მიმლეობაც (ზმნის ნიშნების მქონე ბრუნებადი სიტყვა), გე-  
რუნდივიც (ზმნის ნიშნების მქონე ფორმაუცვლელი სიტყვა) და  
არც ერთი და არც მეორე, არამედ უბრალოდ ზმნის მწკრივთა  
საწარმოებელი ელემენტი, თეზა. ასეთებია *სმ* და *სქ* დაბო-  
ლოებიანი ზმნური წარმონაქმნები, ე. წ. „უსრული“ და „წინარე  
სრული“ (*სახსათარ* და *ქაფასკათარ*) „მიმლეობები“. მართა-  
ლია, *სქ* დაბოლოებიანი „მიმლეობა“ წარმოშობით უეჭველად  
ძველი სომხურის ნამყოს მიმლეობაა, მაგრამ ეს წარმოშობით.  
საშუალო სომხურიდან ამ ფორმამ მიმლეობად ყოფნის უნარი  
დაკარგა და სწორედ ამიტომ გაქდა ენა იძულებული ნამყოს  
მიმლეობისათვის ახალი ფორმები გამოენახა და გამოენახა კი-  
დეც—*სბ* დაბოლოებიანი ფორმა. რაც შეეხება *სმ* დაბოლო-  
ებიან „მიმლეობას“, იგი მხოლოდ ახალმა აღმოსავლურმა სომ-  
ხურმა და მისმა დიალექტებმა იცის. მისი წარმოშობის დაკავ-  
შირება ძველი სომხურის ადგილობით ბრუნვასთან, როგორც  
ა. შანიძემ მართებულად შენიშნა, დამაჯერებელი ვერაა.

ამ შენიშვნაში წარმოდგენილი ვაგება თუ მართალია, ახალი  
სომხური ენის ზმნას აღმოაჩნდება არა 16 მწკრივი, როგორც  
ფიქრობს ტრადიციული გრამატიკა, ან 14 (*სუჩათქ* ო *სუსათქ* &  
ნაწილაკიანი მწკრივების გამოკლებით), როგორც ვფიქრობდით  
ჩვენ, არამედ ათი, ე. ი. გამოაკლდება „მომავლისა“ და *სბ* და-  
ბოლოებიანი მიმლეობებით წარმოებულ ოთხი მწკრივი. ამი-  
ტომ მართალი ჩანს ა. შანიძის შენიშვნა იმის შესახებ, რომ  
ეს უკანასკნელი „ფორმები“ არის შედგენილი შემასმენლები  
და არა ზმნის მწკრივები. თუმცა ჩვენ ვაგვიძნელებოდა და-  
თანხმება იმაზე, რომ *სბ* დაბოლოებიანი მიმლეობით წარმოე-  
ბული ფორმები ამოღებულიყო უღლების სისტემიდან, რადგან

ეს მიმღობა მწკრივის ფორმაში მოქცევისას გარკვეულ ცვლილებას განიცდის—აქტიური ზმნის ფორმა პასივში გადავა. ეს ანგარიშგასაწევი ფაქტია.

§ 54. ყველა დანარჩენი მწკრივი ორგანული წარმოებისაა და, გარდა ერთისა, სხვადასხვა კილოს განეკუთვნება: ეს ერთი კი ისევ თბრობითი კილოს მწკრივია. ეს მწკრივია წყვეტილი (*სხუაჲ კასარჲაჲ* „წარსული სრული“), რომელიც თითქმის ისევე იწარმოება, როგორც ძველ სომხურში იწარმოებოდა: ნამყოს ფუძეზე დაირთავს პირის ნიშნებს; ესენია:

	მზ. რ.	მრ. რ.
1.	- <i>ჩ</i>    - <i>ა</i>	- <i>ჩნჲ</i>    - <i>ანჲ</i>
2.	- <i>ჩც</i>    - <i>არ</i>	- <i>ჩც</i>    - <i>აჲ</i>
3.	- <i>—</i>    - <i>აჲ</i>	- <i>ჩნ</i>    - <i>ან</i>

აღნიშნული პირის ნიშნებიდან პარალელური ფორმები (-*ა*, -*არ*, -*აჲ*, -*ანჲ*, -*არჲ*, -*ან*) მოუღდის მხოლოდ ჩანართიან ზმნებს. ყველა დანარჩენს გამოყენებული აქვს -*ჩ*, -*ჩც*, ..., -*ჩნჲ*, -*ჩც*, -*ჩნ*. ამრიგად, *სასოც*, *ყნარ*, *თსანხც*, *ქაქაცც*, *მოთსნარ* ზმნების წყვეტილის ფორმები იქნება:

1. <i>სასოცქ</i>	<i>ყნარცქ</i>	<i>თსანა</i>	<i>ქაქანა</i>	<i>მოთსნარ</i>
2. <i>სასოცქრ</i>	<i>ყნარცქრ</i>	<i>თსანარ</i>	<i>ქაქანარ</i>	<i>მოთსნარ</i>
3. <i>სასოც</i>	<i>ყნარ</i>	<i>თსანაჲ</i>	<i>ქაქანაჲ</i>	<i>მოთსნარ</i>
1. <i>სასოცქნჲ</i>	<i>ყნარცქნჲ</i>	<i>თსანანჲ</i>	<i>ქაქანანჲ</i>	<i>მოთსნარნჲ</i>
2. <i>სასოცქც</i>	<i>ყნარცქც</i>	<i>თსანაჲ</i>	<i>ქაქანარ</i>	<i>მოთსნარ</i>
3. <i>სასოცქნ</i>	<i>ყნარცქნ</i>	<i>თსანან</i>	<i>ქაქანან</i>	<i>მოთსნარნ</i>

§ 55. ბრძანებითი კილოს მრავლობითის ფორმები ყოველგვარი ზმნისა ნამყოს ფუძიდან იწარმოება -*ჩჲ* ფორმანტის დართვით. პარალელურად გვხვდება ნატვრითის ფუძიდან წარმოებული ფორმებიც, მაგრამ ეს უკანასკნელი დიალექტურად ითვლება. მზ. რ.-ის ფორმაც არსებითად ნამყოს ფუძიდან იწარმოება (ისტორიულად), მაგრამ სხვადასხვაგვარ ცვლილებათა შედეგად ახალ სომხურში სხვა მწკრივებთან შეპირისპირება ბრძანებითის მზ. რ.-ის საყრდენად სხვადასხვა ფუძეს გვიჩვენებს: მარტივი აგებულების *ჩ* დაბოლოებიანი ზმნები აწმყოს ფუძეს ეყრდნობა (*ყრცქ—ყრცქრ*), მარტივი აგებულების *ა* დაბოლოებიანები თითქმის ნატვრითის ფუძეს იყენებს (თუმცა ძველ სომხურში, სადაც ამ ტიპის ზმნები მზ. რ.-ის ბრძანებითს ასევე აწარმოებდა, ეს ფორმა ნამყოს ფუძეზე დაყრდნობილად მიიჩნევა), ჩანართიან

ზმნები კი უგამონაკლისოდ აქაც ნამუს ფუძეს იყენებენ. მხ. რ.-ის ბრძანებითის ნიშანია -ჩრ, რასაც არ დაირთავენ მხოლოდ **აქ** დაბოლოებითანი მარტივი აგებულების ზმნები. ამრიგად:

საწყისი	ბრძანებითი	
	მხ. რ.	მრ. რ.
<b>ყრსქ</b>	<b>ყრს'რ</b>	<b>ყრსენ'რ</b>
<b>ხათსქ</b>	<b>ხათჩ'რ</b>	<b>ხათსენ'რ</b>
<b>კარყაქ</b>	<b>კარყა'</b>	<b>კარყაენ'რ</b>
<b>ყნაქ</b>	<b>ყნა'</b>	<b>ყნაენ'რ</b>
<b>მათსქ</b>	<b>მათჩ'რ</b>	<b>მათს'რ</b>
<b>ქათსჯსქ</b>	<b>ქათსჩ'რ</b>	<b>ქათსენ'რ</b>
<b>მათსნაქ</b>	<b>მათსენ'რ</b>	<b>მათსენ'რ</b>
<b>ნსიანაქ</b>	<b>ნსიანენ'რ</b>	<b>ნსიანენ'რ</b>

§ 36. გარდა ზემოჩამოთვლილი მწყრივებისა, ახალი სომხური ენის ზმნა გვიჩვენებს კიდევ ოთხ მწყრივს: ნატვრითს, პირობითს, მომავალ სრულსა და შედეგობით სრულს. ყველა მათგანისთვის ამოსავალია ნატვრითის ფუძე, რადგან ეს მწყრივები თითქმის საცსებით ისე ფორმდება, როგორც ძველი სომხურის თხრობითი კილოს აწმყო და უწყვეტელი, ე. ი. ნატვრითის (ძვ. სომხურის აწმყოს) ფუძეზე გარკვეული პირის ნიშნების დართვით. ერთგვარ გამონაკლისს ქმნიან **სქ** დაბოლოებითანი ზმნები იმით, რომ ნატვრითისა და სრული მომავლის მხ. რ.-ის III პირის ფორმებში ნატვრითის ფუძის დაბოლოება **ს** შეუტყლიათ **ჩ** ხმოვნით, რომელიც თითქოს პირის ნიშნად გვევლინება, ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ აქ (ამგვარი ზმნების ნატვრითში) იგივე აწმყოს ფუძეა გამოყენებული და არა ნატვრითისა. უფრო სარწმუნოა, III პირის ნიშნად ნული ჩავთვალოთ. ამრიგად, ამ მწყრივებში პირის ნიშნებიც თითქმის საცსებით იგივეა, რაც ძველი სომხურის აწმყოსა და უწყვეტელში გვქონდა.

ნატვრითის პირის ნიშნები		პირობითის პირის ნიშნები	
მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
<b>1. -მ</b>	<b>-ნჟ</b>	<b>1. -ჩ</b>	<b>-ჩნრ</b>
<b>2. -ა</b>	<b>-რ</b>	<b>2. -ჩრ</b>	<b>-ჩრ</b>
<b>3. —</b>	<b>-ნ</b>	<b>3. -რ</b>	<b>-ჩნ</b>

ამრიგად, განსხვავება მეტად მცირეა ძველი სომხურის თხრობითი კილოს აწმყოსა და უწყვეტლის ფორმებსა და ახალი სომხურის ნატვრითისა და პირობითის გარეგნულ გაფორმებას შორის, რაც კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილ ტაბულაზედაც.

ძვ. სომხური  
თხრობითი აწმუო

- |                  |                 |
|------------------|-----------------|
| 1. <i>ყრსამ</i>  | <i>ყარყამ</i>   |
| 2. <i>ყრსა</i>   | <i>ყარყაა</i>   |
| 3. <i>ყრტ</i>    | <i>ყარყაყ</i>   |
| 1. <i>ყრსამჲ</i> | <i>ყარყამარ</i> |
| 2. <i>ყრტჲ</i>   | <i>ყარყაჲარ</i> |
| 3. <i>ყრსნ</i>   | <i>ყარყან</i>   |

თხრობითი უწყვებელი

- |                 |                  |
|-----------------|------------------|
| 1. <i>ყრსჩ</i>  | <i>ყარყაჩ</i>    |
| 2. <i>ყრსჩრ</i> | <i>ყარყაჩრ</i>   |
| 3. <i>ყრსჩრ</i> | <i>ყარყაჩარ</i>  |
| 1. <i>ყრსაჲ</i> | <i>ყარყაჲარ</i>  |
| 2. <i>ყრსჩჲ</i> | <i>ყარყაჩჲარ</i> |
| 3. <i>ყრსჩნ</i> | <i>ყარყაჩან</i>  |

ახალი სომხური  
ნატვრითი

- |              |                |
|--------------|----------------|
| <i>ყრსამ</i> | <i>ყარყამ</i>  |
| <i>ყრსა</i>  | <i>ყარყაა</i>  |
| <i>ყრტ</i>   | <i>ყარყა</i>   |
| <i>ყრსნჲ</i> | <i>ყარყანჲ</i> |
| <i>ყრსჲ</i>  | <i>ყარყარ</i>  |
| <i>ყრსნ</i>  | <i>ყარყან</i>  |

პირობითი

- |              |                  |
|--------------|------------------|
| <i>ყრსჩ</i>  | <i>ყარყაჩ</i>    |
| <i>ყრსჩრ</i> | <i>ყარყაჩრ</i>   |
| <i>ყრსჩრ</i> | <i>ყარყაჩარ</i>  |
| <i>ყრსჩნ</i> | <i>ყარყაჩან</i>  |
| <i>ყრსჩჲ</i> | <i>ყარყაჩჲარ</i> |
| <i>ყრსჩნ</i> | <i>ყარყაჩან</i>  |

ოვორც ვხედავთ, შესამჩნევი ცვლილება გვაქვს *ჲ* დაბოლოებ-  
ბიანი ზმნების, ნატვრითის III პირის მხ. რ.-ის ფორმაში, სადაც  
ძველი სომხურის *ჲ* (*<ლ + ჲ*) შეცვლილია *ჩ* ხმოვნით, და პირობითის  
(ძვ. სომხ. უწყვე.) მრ. რ.-ის I პირში, სადაც პირისა და რიცხვის ძვე-  
ლი ნიშანი *აჲ* შეცვლილია *ჩნჲ* დაბოლოებით. ყველა სხვა ცვლი-  
ლება წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა.

თუ ნატვრითისა (*ყრსამ*) და პირობითის (*ყრსჩ*) ფორმებს თავში  
დაეურთავთ *ჲ* ნაწილაკს, მივიღებთ კიდევ ორ ახალ მწკრივს: სრუ-  
ლი მომავლისა და სრული შედეგობითის მწკრივებს.

მომავალი სრული

- |                  |                 |
|------------------|-----------------|
| 1. <i>ჲყრსამ</i> | <i>ჲყარყამ</i>  |
| 2. <i>ჲყრსა</i>  | <i>ჲყარყაა</i>  |
| 3. <i>ჲყრტ</i>   | <i>ჲყარყა</i>   |
| 1. <i>ჲყრსნჲ</i> | <i>ჲყარყანჲ</i> |
| 2. <i>ჲყრსჲ</i>  | <i>ჲყარყარ</i>  |
| 3. <i>ჲყრსნ</i>  | <i>ჲყარყან</i>  |

შედეგობითი სრული

- |               |                   |
|---------------|-------------------|
| <i>ჲყრსჩ</i>  | <i>ჲყარყაჩ</i>    |
| <i>ჲყრსჩრ</i> | <i>ჲყარყაჩრ</i>   |
| <i>ჲყრსჩრ</i> | <i>ჲყარყაჩარ</i>  |
| <i>ჲყრსჩნ</i> | <i>ჲყარყაჩან</i>  |
| <i>ჲყრსჩჲ</i> | <i>ჲყარყაჩჲარ</i> |
| <i>ჲყრსჩნ</i> | <i>ჲყარყაჩან</i>  |

§ 57. ზემოთ გავეცანით ზმნის მწკრივების წარმოებას, მაგრამ  
ამ მწკრივებს ყველას თავისი სახელი აქვს, რომელთაგან ჩვენ მხო-  
ლოდ რამდენიმე მწკრივი მოვიხსენიეთ თავისი სახელით. თხრობითი  
კილოს 8 მწკრივის სახელი ჯერ არც გვიხსენებია.

ზმნის მწკრივებს სახელებს ვაძლევთ მათი ძირითადი გრამატიკული შინაარსის, ძირითადი ფუნქციის მიხედვით, რადგანაც სომხური ენის ზმნის მწკრივი—ეს არის ზმნის ფორმათა ჯგუფი, გაერთიანებული უღლების კატეგორიათა მთელი წყებით, მაგრამ განსხვავებული ყველა დანარჩენი მწკრივისაგან უღლების ერთ-ერთი კატეგორიით; ხოლო მწკრივში შემავალი ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პირითა და რიცხვით, რაც ყველა სხვა მწკრივში მეორდება.

მაშასადამე, ზმნის მწკრივი გვიჩვენებს რაღაცას ისეთს, რომელსაც არ გამოხატავს არც ერთი სხვა ფორმა ზმნისა. თუ ეს პირობა არაა, მწკრივიც არ გვექნება. ამის მიხედვითაა გამოყოფილი ერთმანეთისაგან ყველა ზემოჩამოთვლილი მწკრივი. სწორედ ამიტომ მათი სახელების დროსაც ეს უნდა გავითვალისწინოთ და როცა მწკრივის იმის მიხედვით დავარქმევთ სახელს, რითაც იგი ყველა დანარჩენი მწკრივისაგან განსხვავდება, დაზღვეული ვიქნებით ზმნით გამოხატული მნიშვნელობების (გრამატიკული კატეგორიების) ურთიერთდრევისაგან. მაშასადამე, მწკრივის გრამატიკული მნიშვნელობა, მისი გრამატიკული ფუნქცია, არის იმ კატეგორიების ჩვენება, რაც ზმნის ფორმებში წარმოდგენილია ენის ცალკეულ, კერძო ფაქტებად.

§ 58. ახალი სომხური ენის ზმნის უღლების კატეგორიებია: პირისა და რიცხვის, დროის, კილოს, ასპექტის, აქტის, თანამდევრობისა და სტატუსის კატეგორიები. ამათგან თავისი მორფოლოგიური ნიშანი პირისა და რიცხვის კატეგორიებს მოეპოვებათ (ისიც არა ყოველთვის). უღლების სხვა კატეგორიებს თავისი მორფოლოგიური ნიშანი არა აქვთ გარდა მთლიანად აღებული მწკრივის ფორმისა. ამის მიუხედავად, როგორც ცნობილია, ზმნის ერთ ფორმას შეუძლია გამოხატოს რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული მნიშვნელობა; მაგ.: *ყრსე* (< *ყრს*) ფორმა წყვეტილის III პირის ფორმაა მხ. რიცხვში, მაგრამ ამ ფორმაში არც პირის ნიშანია, არც რიცხვის, არც უღლების რომელიმე სხვა კატეგორიისა. ასე: ბოლოკიდური -*ე* ამ ტიპის ზმნებიდან ნამუოს ფუძის მაწარმოებელი ელემენტია, მის წინ მდგომი *ს* თემატური ხმოვანია, ხოლო *ყრ* (იკითხება *ყერ*) ძირია. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: *ყრსე* ფორმა გვიჩვენებს არა მარტო ზემოაღნიშნულ კატეგორიებს, არამედ სხვებსაც; მაგ.: 1) პირის (III პ.), 2) რიცხვის (მხ. რ.), 3) დროის (წარსული), 4) კილოს (თხრობითი), 5) ასპექტის (სრული), 6) აქტის (ნახული), 7) თანამდევრობის (შემდგომი)—7 კატეგორია! სულ კი 5 ბგერისაგან შედგება, რომელთაგან არც ერთი არაა მასში გამოხატული რომელიმე კატეგორიის ნიშანი.

მაშ რა აძლევს ამ ფორმას ამდენ მნიშვნელობას? სხვადასხვა



თვალსაზრისით სხვადასხვა ფორმათა შეპირისპირება მოცემული მწკრივის ფორმასთან; მაგ., *ყრსე* წარსულ დროზე გვაძლევს წარმოდგენას იმიტომ, რომ როდესაც ამ ფორმით გადმოცემულ მოქმედების მომენტს შევადარებთ უბნობის მომენტთან, ისინი კი არ დაემთხვევიან ერთმანეთს, არამედ მოქმედება უბნობის მომენტზე აღრე შესრულებული აღმოჩნდება; ამავე თვალსაზრისით გაზომილი ზმნის სხვა ფორმები წარმოდგენას გვაძლევენ ახლანდელ (უბნობის მომენტთან თანმთხვეულ) და მომავალ (უბნობის მომენტის შემდგომ) დროზე. თუ იმავე ფორმას მოუბრის თვალსაზრისით განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ მოუბარი ამ მოქმედებით გამოხატულ მოქმედებას ფაქტად, სინამდვილედ მიიჩნევს, ე. ი. თბრობითი კილოს ფორმას; როცა ამავე ფორმას დასრულება-დაუსრულებლობის თვალსაზრისით შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ იგი დამთავრებულ მოქმედებას გვიჩვენებს და ა. შ. ამნაირ-ნაირი შინაარსის დანახვაში გვევლის არა მარტო სხვადასხვა თვალსაზრისით განხილვა მოვლენისა, არამედ უფრო ის, რომ თითოეულ ამ მნიშვნელობას (კატეგორიას) ენაში მოეპოვება ფორმა (მწკრივი), ზოგჯერ რამდენიმეც, რომელიც უპირისპირდება სხვა ფორმას (მწკრივს) არა მარტო ფორმით, არამედ მნიშვნელობითაც; მაგ., ზემოაღნიშნული *ყრსე* ფორმა სრულ ასპექტს გვიჩვენებს იმიტომ, რომ მის საპირისპიროდ მოიპოვება უსრული ასპექტის გამომხატველი ფორმები; წარსულ დროს გვიჩვენებს იმიტომ, რომ მოიპოვება ახლანდელისა და მომავლის გამომხატველი ფორმები, თბრობით კილოს გვიჩვენებს იმიტომ, რომ საპირისპიროდ სხვადასხვა კილოს გამომხატველი ფორმებია.

სხვადასხვა მწკრივი, მაშასადამე, შეიძლება გამოხატავდეს ერთსა და იმავე კატეგორიასაც, მაგრამ ერთ-ერთი კატეგორიით (გარდა პირისა და რიცხვისა) უთუოდ იქნება განსხვავებული და სწორედ ეს ერთია მოცემული მწკრივისათვის ძირითადი; მაგ., *ყოიპ ზქ* „ცვერი“ და *ყრსე* „დავწერ“ თითქმის ყველა კატეგორიის გამოხატვით ემთხვევა ერთმანეთს: დრო წარსულია, კილო — თბრობითი, პირიცა და რიცხვიც ერთი და იგივეა ამ შემთხვევაში, მაგრამ განსხვავდებიან მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობის გამოხატვით და სახელადაც ამიტომ ერთს წარსული უხრული აქვს და მეორეს წარსული ხრული.

§ 52. პირის, რიცხვის, დროის, კილოს, ასპექტისა და უღლების სხვა კატეგორიები იმასვე გამოხატავენ ქართულში, რასაც სომხურში, მაგრამ, ცხადია, საკვებით არ ემთხვევიან ქართულისა და სომხურის შესაბამისი კატეგორიები ერთმანეთს. ეს არც შეიძლება, რადგან სხვადასხვა სისტემის ენებთან გვაქვს საქმე. მაგ., პირის კატეგორია ქარ-

თულში არა მარტო სუბიექტური, არამედ პირდაპირი და ირიბი ობიექტური პირების რომელობასაც გულისხმობს, რაც არ შეიძლება სომხურში გვეკონდეს, რადგან სომხურის ზმნას მხოლოდ სუბიექტის პირის გამოხატვა შეუძლია. ასევე, ასპექტის კატეგორია ქართულში პრევერბით გამოიხატება ახლა და ამიტომაც იგი წარმოქმნის კატეგორიას, სომხურში კი მას გამოხატვის სხვა საშუალება აქვს და უღლების კატეგორიას წარმოადგენს. ასევე ითქმის სხვა კატეგორიების შესახებაც.

§ 60. პირისა და რიცხვის კატეგორიების შესახებ ბევრი არაფერია სათქმელი. პირის კატეგორია ახალ სომხურშიც მხოლოდ სუბიექტური პირის რომელობაზე გვაძლევს წარმოდგენას. ობიექტური პირი ზმნის ფორმით არ გამოიხატება. რიცხვის კატეგორიაც, ცხადია, მხოლოდ სუბიექტის რიცხვზე იძლევა წარმოდგენას: *ყრიւմ եմ (სა)* „ვწერ (მე)“, *ყრესիր (თა)* „დაწერე (შენ)“, *ყრել է (ნა)* „დაუწერია (მას)“, *ყრიւմ էինք (ძხუք)* „ვწერდით (ჩვენ)“, *ყრელი სք (თაუք)* „დაწერთ (თქვენ)“, *կყრს (ხრანք)* „დაწერენ (ისინი)“ და სხვა.

ამრიგად, ახალ სომხურში რიცხვი ორია — მხოლოდითი და მრავლობითი, პირი კი სამი (თითოეულ რიცხვში) — პირველი, მეორე და მესამე.

§ 61. გრამატიკული დრო (დროის კატეგორია) განისაზღვრება მოქმედებისა და უბნობის მომენტის მიმართებით: თუ მოქმედება გვიჩვენებს, რომ მოქმედების მომენტი ემთხვევა უბნობის მომენტს, ეს ნიშნავს, რომ მოქმედება ახლა, უბნობის მომენტში ხდება, მაშასადამე, ზმნაში ახლანდელი დროა გამოხატული; თუ იგივე შეფარდება გვიჩვენებს, რომ მოქმედების მომენტი უსწრებს უბნობის მომენტს, ზმნა წარსული დროის გამოხატველი იქნება, ხოლო თუ იგივე შეფარდება გვიჩვენებს, რომ მოქმედება უბნობის მომენტს შემდეგ მოხდება, ზმნაში მომავალი დრო იქნება გამოხატული. ამავე დროს გრამატიკული დრო არ იზომება: მოქმედება უბნობის მომენტს ერთი წუთით უსწრებს თუ ათასი წლით და მეტით, სულ ერთია, იგი მაინც წარსული იქნება. ასევე მომავალი — ათასი წლის შემდეგ მოსახდენ მოქმედებას გვიჩვენებს, თუ მეტი ან ნაკლები დროის შემდეგ მოსახდენ მოქმედებას, სულ ერთია, დრო მაინც მომავალი იქნება.

გრამატიკული დროის დადგენისას, მაშასადამე, ამოსავალია უბნობის და ზმნით ნაგულისხმევი მოქმედების მომენტი.

ახალი სომხური ენის ზმნის მწკრივები, როგორც ვთქვი, 14-მდე აღწევს და ყველა მათგანში გადმოცემულია დრო, მაგრამ ყველა ეს მწკრივი სხვადასხვა დროს კი არ გვიჩვენებს, არამედ რამდენიმე მწკრივი ერთსა და იმავე გრამატიკულ დროს გადმოგვცემს; მაგ.,

აქლანდელ დროს ორი მწკრივი გამოხატავს (*ნათიამ ლ, ნათაბ ლ*), მომავალს — ოთხი (*ნათსილ ლ, ჭნათი, ნათი, ნათქ'რ*). ხოლო წარსულს — 8 (*ნათიამ ლქ, ნათსილ ლქ, ნათილ ლ, ნათსლ ლქ, ნათსიქ, ნათსრ, ჭნათსრ, ნათაბ ლქ*).

§ 62. კილოს გრამატიკული კატეგორია მოუბრის თვალსაზრისით აფასებს მოქმედებას, თუ როგორია იგი—ნამდვილი, შესაძლებელი, სავარაუდებელი, პირობაა სხვა მოქმედებისათვის, თუ შედეგი სხვა მოქმედებისა და სხვა. ამის მიხედვით, ახალ სომხურ ენაში არსებული ზმნის 14 მწკრივი ხუთ კილოში ასე ნაწილდება: თბრობით კილოში შედის 9 მწკრივი (*ნათიამ ლ, ნათაამ ლქ, ნათსილ ლ, ზღათილ ლ, ნათილ ლქ, ნათაბ ლ, ნათაბ ლქ, ნათსე, ჭნათი*), ბრძანებითში—ერთი (*ნათქ'რ, ნათსეს'ქ*), ნატვრითში—ერთი (*ნათი*), პირობითში—ერთი (*ნათსრ*), შედეგობითში—ორი (*ნათსილ ლქ, ჭნათსრ*).

§ 63. ასპექტის გრამატიკული კატეგორია გვიჩვენებს დამთავრებულა, დასრულებულა, ზღვარდადებულა მოქმედება თუ დაუმთავრებელი, დაუსრულებელი, ზღვარდაუდებელია იგი. ამრიგად, ასპექტი ორია: სრული და უსრული. შეიძლება აგრეთვე მწკრივს არ აღმოაჩნდეს ამ თვალსაზრისით დაპირისპირებული ფორმა და იგი უასპექტო იქნება. ახალ სომხურში ასეთი მწკრივებიც გვაქვს, ესენია: ნატვრითი (*ნათი*), პირობითი (*ნათსრ*), ბრძანებითი (*ნათქ'რ, ნათსეს'ქ*). დანარჩენები კი ნაწილდებიან სრულ და უსრულ ასპექტებს შორის; მაგალითად, სრული ასპექტის მქონე მწკრივებია:

*ნათილ ლ, ნათსლ ლქ, ნათსე, ჭნათი, ჭნათსრ, ნათაბ ლ, ზღათილ ლქ.*

უსრული ასპექტის მქონე მწკრივებია:

*ნათიამ ლ, ნათიამ ლქ, ნათსილ ლ, ნათსილ ლქ.*

§ 64. აქტის გრამატიკული კატეგორიაც მოუბრის თვალსაზრისის ეყრდნობა და გვიჩვენებს: მოუბარმა ნახა თუ არა მოქმედება, ღაესწრო თვითონ თუ არა მოქმედების შესრულებას. ამის მიხედვით ორი შესაძლებლობაა: ან **ნახა** მოუბარმა მოქმედება და, მაშასადამე, იგი **ნახული** იქნება, ან არ (ვერ) ნახა მოუბარმა მოქმედება და მაშინ იგი **უნახავი** იქნება. ახალი სომხური ქართულივით (და ძველი სომხურისაგან გასხვავებით) გამოხატავს ამ კატეგორიას და ეს იმის წყალობით, რომ საშუალო სომხურიდან მოკიდებული ენაში იხმარება ფორმა, რომელიც უნახავ მოქმედებას გვიჩვენებს. სანამ უნახაობა არ გაჩნდა, ნახულ მოქმედებაზე წარმოდგენა არ არსებობდა ენაში, თუმცა იგი (ნახულობა) ისევე გამოიხატებოდა ძველ სომხურში, როგორც ახალში. ეს ფაქტი კარგად გვიჩვენებს, რომ მხოლოდ საპირისპირო

ფორმათა არსებობითაა გაპირობებული უღლების კატეგორიების არსებობა.

უნახაობა (უნახავი მოქმედება) ახალ სომხურში გამოიხატება *ხუսთსი* *է* და *ხაოსი* *է* *რ* მწკრივებით, რომელთაც ამ თვალსაზრისით ჩვეულებრივ უპირისპირდება *ხაოსი* *რ* მწკრივი, თუმცა ნახულობა შეიძლება აღმოვაჩინოთ სხვა მწკრივებშიც (*ხაოსი* *მ* *է*, *ხაოსი* *მ* *რ*).

სომხურის უნახავის ფორმები თითქმის ზუსტად შეესატყვისება ქართულისას, ოღონდ სომხურში მას უფრო ფართო გამოყენება აქვს.

რადგან *ხაოსი* *է* მხოლოდ უნახაობის გამოხატვით განსხვავდება ყველა დანარჩენი მწკრივისაგან, ამიტომ შეერქვა ამ მწკრივს **უნახავი (ქოსაბ)**:

**§ 65.** თანამდევრობის კატეგორია გვიჩვენებს მოქმედებათა მიმართებას დროში. უბნობის მომენტთან შედარებით ესა თუ ის მოქმედება, შესაძლებელია, წარმოდგენას იძლეოდეს ახლანდელ, წარსულ ან მომავალ დროზე, მაგრამ წარსულში შესრულებული (ან მომავალში შესასრულებელი) მოქმედებანი შესაძლებელია მომხდარიყო (ან მოხდეს) ერთდროულად, ან კიდევ ერთი მოქმედება მეორეს უსწრებდეს დროში; ასეთ შემთხვევაში, მაშასადამე, წარმოდგენა გვეძლევა ორ მოქმედებას შორის არსებულ დროულ თანმიმდევრობაზე, რაც, რასაკვირველია, სულ სხვაა, ვიდრე გრამატიკული დროის გაგება; მაგ., *სა ზრან თან რ ჯგათ, არიხს ფხაესი* *է* *რ* *ყირბი*. „მე იგი შინ ვერ ვნახე, უკვე წასულიყო საქმეზე“. ამ წინადადებაში ორი ზმნაა: *ჯგათ* („ვერ ვნახე“) და *ფხაესი* *է* *რ* („წასულიყო“). ორივე ზმნა გვიჩვენებს უბნობაზე ადრე შესრულებულ მოქმედებას, მაგრამ ეს მოქმედებანი მაინც ერთმანეთის მომდევნოდაა შესრულებული: ჯერ წასვლის მოქმედება შესრულდა, შემდეგ ვერ ვნახვისა. სწორედ იმიტომ, რომ ვილაცა უბნობის მომენტამდე სადღაც წავიდა, მოუბარმა შინ ველარ ნახა იგი. ამ აზვავს მოუბარი გადმოგვცემს ორივე ამ მოქმედების შესრულების შემდეგ.

შეიძლება მოქმედებათა ურთიერთშეფარდება გვიჩვენებდეს ერთდროულობასაც; მაგ., *სა ხარგილი* *է* *ჩი*, *ხერგილი* *ჩხბ* *მით* *სი* *ხარ* „მე ვკითხულობდი, როცა შენ ჩემთან მოხვედი“. ამ წინადადებაშიც ორი ზმნაა: *ხარგილი* *է* *ჩი* („ვკითხულობდი“) და *სი* *ხარ* („მოხვედი“). ორივე წარსულ დროს გამოხატავს და ორივე მოქმედება, წინადადებას მიხედვით, ერთდროულია (მე კითხვაში რომ ვიყავი გართული, კითხვის მოქმედებას რომ ვასრულებდი, სწორედ ამ დროს შენ შემოხვედი), მაგრამ კითხვის მოქმედება მოსვლის მომენტამდე დაუმთავრებელი დარჩა, მოსვლის მოქმედება კი უბნობის მომენტამდე დამთავრდა.

აწივად, თანამდევრობის კატეგორია გვიჩვენებს ამ ერთდროულობას (*მჩაძამთანაკლიქიანს*), ან უწინარესობას (*ხაქორგიქიანს*), ან კიდევ შექცევადობას (*ხაქორგიქიანს*). ამათგან საკუთარი მწკრივი მხოლოდ უწინარესობის გამოსახატავად შეუძლებელია ახალ სომხურ ენას. ეს მწკრივია უწინარესი (*ხაქორქ' ხაათქ ჭრ*). იგი ყველა დანარჩენი მწკრივისაგან სწორედ უწინარესობის გამოხატვით განსხვავდება.

§ 66. სტატუსის კატეგორია გვიჩვენებს სუბიექტის მდგომარეობას და არა მოქმედებას. ახალ სომხურ ენას საამისოდ ორი მწკრივი შეუძლებელია. ერთი მათგანი (*ხაათქ ჭ*) გვიჩვენებს სუბიექტის მდგომარეობას ახლანდელ დროში, მეორე კი — წარსულში (*ხაათქ ჭრ*).

სტატუსი უღლების კატეგორიაა მედიო-პასიური ზმნებისათვის (*ხაათქ ჭ „ზის“, ღანჯანქ ჭ „ღას“, ორქანქ ჭ „წევს“, ღანქანქ ჭ „გლია“* და სხვა), მაგრამ წარმოქმნის კატეგორიაა აქტიური ზმნებისათვის, რამდენადაც ამ ფორმების წარმოება თანამედროვე სომხურში აქტიური ზმნებიდან პირდაპირ არ შეიძლება; საამისოდ აქტიურ ზმნებს ჯერ ვნებითი გადაიყვანენ და აქედან აწარმოებენ სტატიკურ ფორმას; მაგ.: *გრიქანქ ჭ „წერს“ — გრიქანქ ჭ „იწერება“ — გრიქანქ ჭ „სწერა“*. *გრაქ ჭ* კი ახალი სომხურისათვის დაუშვებელი ფორმაა.

რაკი ამ მწკრივებისათვის დამახასიათებელია მდგომარეობის, სტატუსის გამოხატვა, რითაც ეს მწკრივები ყველა დანარჩენი მწკრივისაგან განსხვავდებიან, სახელებიც ამის მიხედვით შეერქვა: *ხაათქ ჭ „ზის“* სტატიკური აწმყოს (*შათანქანქ ზისრქან*) მწკრივია, *ხაათქ ჭრ* „იჯდა“ — სტატიკური წარსულისა (*შათანქანქანქანქ*).

§ 67. ზემოთ დახასიათებული უღლების კატეგორიები გამოიხატება ახალი სომხური ენის ზმნის ფორმებით. ზმნის ფორმათა გარკვეული ჯგუფი (მწკრივი), როგორც აღვნიშნეთ, იმით ახერხებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, რომ უღლების ერთ-ერთი კატეგორიით უთუოდ განსხვავდება ყველა დანარჩენი მწკრივისაგან, ე. ი. თითოეულ მწკრივს თავისი საკუთარი გრამატიკული ფუნქცია აქვს, რომელსაც იგი ასრულებს, თუმცა ზმნის ესა თუ ის მწკრივი შეიძლება სხვა პარალელური ფუნქციითაც გამოიყენოს ენამ. მწკრივისთვის სახელის დარქმევისას მხედველობაშია მიღებული სწორედ ეს სპეციფიკური, მხოლოდ მოცემული მწკრივისათვის დაკისრებული ფუნქცია.

ქვემოთ ვაჩვენებთ თითოეული მწკრივის სახელს, წარმოებას და ფუნქციას *ხაათქ* „იჯდა“ და *ღანქ* „წასვლა“ ზმნების მაგალითზე.

§ 68. აწმყოს მიმღობით (იქ დაბოლოებიანი) წარმოებული

**მწკრივები.** როგორც ვნახეთ, ამ მიმღეობით ორი მწკრივი იწარმოება: ერთი — დამხმარე ზმნის აწმყოს ფორმებითა და მეორე — დამხმარე ზმნის წარსულის ფორმებით:

<b>ზათიამ</b> {	<b>სმ</b>	<b>სა</b>	<b>ტ</b>	<b>ხნტ</b>	<b>ხტ</b>	<b>სნ (1)</b>
<b>ზათიამ</b> {	<b>ტქ</b>	<b>ტქრ</b>	<b>ტრ</b>	<b>ტქნტ</b>	<b>ტქტ</b>	<b>ტქს (2)</b>

ამ ორი მწკრივიდან პირველი (**ზათიამ სმ, ფათიამ სმ...**) ერთადერთი მწკრივია ახალ სომხურ ენაში, რომელიც გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც უბნობის მომენტში სრულდება (ე. ი. ახლანდელ დროში) და ამით განსხვავდება ის უველა სხვა მწკრივისაგან. მართალია, ახალ სომხურ ენაში კიდევაც ერთი მწკრივი, რომელიც ახლანდელ დროს გამოხატავს (**ზათიამ ტ „ზის“**), მაგრამ ეს უკანასკნელი სუბიექტის მდგომარეობას გვიჩვენებს და არა მოქმედებას. ამის გამო **ზათიამ სმ, ფათიამ სმ** მწკრივს სახელი დროის მიხედვით დაერქვა: **ხსრტა** „ახლანდელი“ (აწმყო).

აწმყოს მწკრივის ელემენტებია (ე. ი. ამ მწკრივით გამოიხატება შემდეგი კატეგორიები, გარდა პირისა და რიცხვისა): დრო — ახლანდელი, კილო — თხრობითი, ასპექტი — უსრული.

აწმყოს მიმღეობით წარმოებული მეორე მწკრივი (**ზათიამ ტქ, ფათიამ ტქ**) წარსულ დროს გამოხატავს. ახალ სომხურ ენაში წარსულ დროს, ამას გარდა, კიდევ 7 მწკრივი გადმოგვცემს, მაგრამ მათგან თხრობით კილოში ერთადერთია ეს მწკრივი, რომელიც ამავე დროს უსრულ ასპექტზე მიგვიითობს. რადგან უსრული ასპექტიც რამდენიმე სხვა მწკრივით გამოიხატება და წარსული დროც, ცალკე აღებული ვერც ერთი ეს კატეგორია ვერ გვიჩვენებს ამ მწკრივის ძირითად ფუნქციას, ამიტომ ამ მწკრივის სახელში გამოყენებულია ორივე კატეგორიის ჩვენება და მწკრივს ეწოდება წარსული უსრული (**მსუეკაქ ანტათარ**).

წარსული უსრული მწკრივის ელემენტებია: დრო — წარსული, კილო — თხრობითი, ასპექტი — უსრული.

**§ 67. მომავლის მიმღეობით წარმოებული მწკრივები.** როგორც ვნახეთ, ამ მიმღეობითაც ორი მწკრივია ნაწარმოები: ერთი—დამხმარე ზმნის აწმყოს ფორმებითა და მეორე — იმავე დამხმარე ზმნის წარსულის ფორმებით:

<b>ზათსიკი</b> {	<b>სმ</b>	<b>სა</b>	<b>ტ</b>	<b>ხნტ</b>	<b>ხტ</b>	<b>სნ (1)</b>
<b>ზათსიკი</b> {	<b>ტქ</b>	<b>ტქრ</b>	<b>ტრ</b>	<b>ტქნტ</b>	<b>ტქტ</b>	<b>ტქს (2)</b>

ამათგან პირველნი (**ზათსიკი სმ, ფათსიკი სმ**) სხვა მწკრივებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ გამოხატავენ დაუსრულებელ მოქმედე-



რის განსხვავებაც ღიღია. მეორე მწკრივი (*ზაასქ ლქ, ჟზაესქ ლქ*), გარდა ამისა, გვიჩვენებს, რომ ამ ფორმით გამოხატული მოქმედება წარსულში შესრულებულა სხვა მოქმედებაზე აღრე; ასე: *ჟზაესქ ლქ* „წასულიყო“ ცალკე აღებულიც კი გვიჩვენებს, რომ წასვლის მოქმედება ამ მოქმედების სუბიექტს შეუსრულებია უზნობის მომენტზე აღრე, რომ მოუბარი ამ აქტის (წასვლის მოქმედების) დამსწრე არ არის, მაგრამ მოუბარისავე თვალსაზრისით წასვლის მოქმედების შესრულება ფაქტია, სინამდვილეა. საიდანღა აქვს მოუბარს ის რწმენა, რომ წასვლის მოქმედება ფაქტია, თუ თვითონ მას არ უნახავს ამ მოქმედების შესრულება? იქიდან, რომ მოუბარმა შეამოწმა წასვლის ადგილზე ყოფნა, ან სხვისგან მიიღო სათანადო ინფორმაცია, ხოლო შემოწმებაც და ინფორმაციის მიღებაც ფაქტია, სინამდვილეა. მაგრამ აქ ერთი მომენტიცაა: შემოწმებაზე ან ინფორმაციის მიღებაზე აღრე მოხდა წასვლის მოქმედების შესრულება და სწორედ ამიტომ შემოწმებამ ასეთი შედეგი უჩვენა: სუბიექტი ადგილზე არ აღმოჩნდა. აქედან აშკარაა: ჯერ მოხდა წასვლის მოქმედების შესრულება, მერე შემოწმება, ან ინფორმაციის მიღება. ყველაფერი ეს გამოხატულია ფორმაში — *ჟზაესქ ლქ* „წასულიყო“. ამიტომ ეს ფორმა გვიჩვენებს უწინარეს შესრულებულ მოქმედებას, რომლის საპირისპიროდ წინადადებაში უთუოდ არის, ან იგულისხმება, მეორე მოქმედება წვეტილის ფორმით, რომელიც შემდგომ შესრულებულ მოქმედებას გამოხატავს.

ამრიგად, *ზაასქ ლქ, ჟზაესქ ლქ* მწკრივისათვის სპეციფიკურია უწინარესობის გამოხატვა და ამიტომ უწინარესი (*ზაასქ ლქ*) დაერქვა. *ზაასქ ლქ, ჟზაესქ ლქ* მწკრივი კი უნახაობას აღარ აკავშირებს თანამდევრობასთან. რაკი ასეა, აღარ იქმნება საშიშროება ამ მწკრივთა აღრევისა, თუ *ზაასქ ლქ, ჟზაესქ ლქ* მწკრივს უნახაობის მიხედვით გამოვეყოფთ. ამიტომ დაერქვა ამ მწკრივს უნახავი (*ჟსსაასქ*).

როგორც ვხედავთ, ახალ სომხურ ენაში აქტისა და თანამდევრობის კატეგორიები დაკავშირებულია *ლქ* დაბოლოებიანი მიმღეობით წარმოებულ მწკრივებთან. აქტის კატეგორია ახალ სომხურში არსებობს იმის წყალობით, რომ უნახავის მწკრივი ჩამოყალიბდა, რაც ძველმა სომხურმა არ იცოდა. უნახავს დაუპირისპირდა ნახული და ამის საფუძველზე წარმოიქმნა აქტის კატეგორიაც.

უნახავის ელემენტებია: დრო — წარსული, კილო — თხრობითი, ასპექტი — სრული, აქტი — უნახავი.

თანამდევრობის კატეგორიაც ახალ სომხურში უწინარესის მწკრივის წყალობით არსებობს, რადგან წვეტილის მწკრივი ამ



მწკრივის გაჩენამდეც არსებობდა, მაგრამ შემდგომობაზე ვერ იძლეოდა წარმოდგენას.

უწინარესის ელემენტებია: დრო — წარსული, კილო — თხრობითი, ასპექტი — სრული, აქტი — უნახავი, თანამდევრობა — უწინარესი.

§ 71. **აბ დაბოლოებიანი ნამუხ მძლეობით წარმოებული მწკრივები.** ამ მძლეობითაც ორი მწკრაი იწარმოება დაჰმხარე ზმნის აწმუსოა და წარსულის ფორმებით; ასე მაგალითად:

ზათათ	{	სმ	სუ	ტ	სუტ	სტ	სუ (1)
ფათათ	{	ტქ	ტქრ	ტრ	ტქსტ	ტქტ	ტქს (2)

ორივე ეს მწკრივი იმით განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან, რომ მხოლოდ მდგომარეობას გამოხატავს და არა მოქმედებას. ერთმანეთისაგან კი დროით განსხვავდებიან: *ზათათ სმ*, *ფათათ სმ* სუბიექტის მდგომარეობას გვიჩვენებს ახლანდელ დროში, ხოლო *ზრათათ ტქ*, *ფათათ ტქ* — წარსულში. არც ერთი სხვა მწკრივი სუბიექტის მდგომარეობას არ გვიჩვენებს. სახელიც ამის მიხედვით დაერქვათ: *ზათათ სმ*, *ფათათ სმ* — სტატიკური აწმუსო (*ათათიქ ზსრქა*), ხოლო *ზათათ ტქ*, *ფათათ ტქ* — სტატიკური წარსული (*ათათიქ ახუკა*).

სტატიკური აწმუსოს ელემენტებია: დრო — ახლანდელი, კილო — თხრობითი, სტატუსი — სტატიკური, ასპექტი — სრული (თუმცა ეს ასპექტი თავისებურია: გვიჩვენებს მოქმედების შესრულების შედეგს, როგორც სუბიექტის მდგომარეობას).

სტატიკური წარსულის ელემენტებია: დრო — წარსული, კილო — თხრობითი, სტატუსი — სტატიკური, ასპექტი — სრული (მაგრამ როგორც სტატიკური აწმუსოსი).

ამ მწკრივებთან დაკავშირებით კვლავ გავიხსენოთ, რომ ამათი წარმოება მხოლოდ მედიო-პასიური ზმნებიდან შეიძლება უშუალოდ, აქტიური ზმნებიდან კი — ვნებითის გზის გავლით, ე. ი. აქტიური ზმნა ჯერ ვნებითში გადაიყვანება და აქედან სტატიკური ფორმა იწარმოება: *ყრია ტ* „წერს“, *ყრია ტ* „იწერება“ — აქედან *ყრია ტ* „სწერია“, მაგრამ არ შეიძლება *ყრათ ტ*. გამოთქმულია მოსაზრება, რომ *აბ* დაბოლოებიანი მძლეობით წარმოებული ფორმები საერთოდ არ უნდა იყოს ზმნის მწკრივის ფორმა, რომ ესაა შედგენილი შემასმენელი, ე. ი. *ყრია ტ* ნიშნავს არა „სწერია“, არამედ „დაწერილია“, მაგრამ თუ ეს მართალია, მედიო-პასიურ ზმნებს იგი მაინც არ უნდა ეხებოდეს.

§ 72. ყველა დანარჩენი მწკრივი ორგანულად იწარმოება. მათ

წარმოებას ზემოთ გავეცანით (§§ 54, 55, 57), მაგრამ იქ არ მოგვიცდა ამ მწკრივთა სახელდების დასაბუთება, ე. ი. არ გავვისაზღვრავს მათი გრამატიკული შინაარსი.

ა) წარსული სრული (*მსუყალ კათარქალ' სათხეჩ, ეზაეჩი*, § 54). ასე ეწოდება იმიტომ, რომ იგი გამოხატავს წარსულ დროში დამთავრებულ მოქმედებას.

მართალია, ამასვე გადმოსცემს უნახავიც (*სათხე ჭ*) და უწინარესიც (*სათხე ჭრ*), მაგრამ ეს მწკრივები ამავე დროს სხვა რამესაც გამოხატავენ (იხ. § 71) და ეს სხვაა მათთვის სპეციფიკური. იმიტომ შეიძლება ამ მწკრივისათვის სპეციფიკურად მართლაც წარსულში დამთავრებული მოქმედების გამოხატვა მივიჩნიოთ და ეს სახელი ვუწოდოთ. ამას მხარს უჭერს ტრადიციაც, რადგან ამ მწკრივს ძველთაგანვე ასე ეწოდება.

წარსული სრულის ელემენტებია: დრო — წარსული, კილო — თხრობითი, ასპექტი — სრული, აქტი — ნახული, თანამდევრობა — შემდგომი.

ბ) ბრძანებითი (*ღრამაკასან' სათჩ'რ, ეზან*, § 55). ამ მწკრივსაც იმთავითვე ეს სახელი ეწოდება, რადგან იგი სომხური ზმნის უღლების სისტემაში ერთადერთია, რომელიც ბრძანებას წართქითად გამოხატავს.

ბრძანებითის ელემენტებია: დრო — მომავალი, კილო — ბრძანებითი. სხვა ელემენტი ახალ სომხურში აღარა აქვს ამ მწკრივს, რადგან ასპექტის გაგებაც დაკარგა და უასპექტო ფორმად იქცა.

გ) ნატვრითი (*ღეგასკასან' სათსამ, ეზამ*, § 57). ასე ეწოდება ამ მწკრივს იმიტომ, რომ მხოლოდ ეს მწკრივი გამოხატავს ახალ სომხურში კავშირებით კილოს, რომელსაც სომხურად ნატვრითს უწოდებენ.

ნატვრითის ელემენტებია: დრო — მომავალი, კილო — ნატვრითი. სხვა ელემენტი მას არა აქვს.

დ) პირობითი (*წაკანასკასან' სათსი, ეზაეჩი*, § 56). ეს მწკრივი ერთადერთია, რომელიც მოქმედების პირობას გამოხატავს. იმიტომაც ამ მწკრივს კილოს მიხედვით დაერქვა სახელი. ისიც ორი ელემენტისაგან შედგება: დრო — წარსული, კილო — პირობითი.

ე) მომავალი სრული (*მსუთხი კათარქალ' კსათხამ, ჭეზამ*, § 56). ამ მწკრივს ასე ეწოდება იმიტომ, რომ მხოლოდ ეს მწკრივი გამოხატავს დასრულებულ მოქმედებას მომავალში. სხვა მწკრივები, რომლებიც ახალ სომხურში აგრეთვე მომავალს გამოხატავენ, უასპექტონი არიან (ბრძანებითი, ნატვრითი), ან უსრულ ასპექტს გამოხატავენ. მაშასადამე, ამ მწკრივისათვის სპეციფიკური სწორედ

ისა, რომ დასრულებულ მოქმედებას გამოხატავს მომავალ დროში.  
 მომავალი სრულის ელემენტებია: დრო — მომავალი, კი-  
 ლო — თხრობითი, ასპექტი — სრული.

ვ) შედეგობითი სრული (*Հատանքայն կատարյալ կնատիկ, կգնայქ.* § 56) დაერქვა ამ მწკრივს იმიტომ, რომ შედეგობით უსრულთან ერთად შედეგობით კილოს გამოხატავს, მაგრამ შედეგობითი უსრულისაგან ასპექტით განსხვავდება. მაშასადამე, სწორედ ამ ორი მომენტის — შედეგობითობისა და დამთავრებულობის გამოხატვას ამ მწკრივისათვის სპეციფიკური და სახელიც ამის მიხედვით დაერქვა.

შედეგობითი სრულის ელემენტებია: დრო — წარსული, კილო — შედეგობითი, ასპექტი — სრული.

### § 56. ზმნის უღლება

1. თხრობითი კილო — *Մահմանական Լգանակ*

1. აწმყო — *Իსրկա*

ზათიւմ	$\left\{ \begin{array}{l} ԼԻ \quad ԼԻ \quad Է \\ ԿՆԻԿ \quad ԷԲ \quad ԼՆ \end{array} \right.$
ԿՆԻԿ	

2. სტატიკური აწმყო — *Մատիկ Իსրկա*

ზათաթ	$\left\{ \begin{array}{l} ԼԻ \quad ԼԻ \quad Է \\ ԿՆԻԿ \quad ԷԲ \quad ԼՆ \end{array} \right.$
ԿՆԱԿԵԹ	

3. წარსული უსრული — *Անցյալ անկատար*

ზათիւմ	$\left\{ \begin{array}{l} ԷԻ \quad ԷԻԲ \quad ԷԲ \\ ԷԻՆԷԲ \quad ԷԻԷ \quad ԷԻՆ \end{array} \right.$
ԿՆԻԿ	

4. სტატიკური წარსული — *Մատիկ անցյալ*

ზათաթ	$\left\{ \begin{array}{l} ԷԻ \quad ԷԻԲ \quad ԷԲ \\ ԷԻՆԷԲ \quad ԷԻԷ \quad ԷԻՆ \end{array} \right.$
ԿՆԱԿԵԹ	

5. მომავალი უსრული — *Ապանի անկատარ*

ზათկլու	$\left\{ \begin{array}{l} ԼԻ \quad ԼԻ \quad Է \\ ԿՆԻԿ \quad ԷԲ \quad ԼՆ \end{array} \right.$
ԿՆԱԿԼԸ	

6. მომავალი სრული — *Սպանի կատարյալ*

կնատիւմ	կնատիւ	կնատի
կնատիւնք	կնատիք	կնատին
կգնամ	կգնաս	կգნա
կգնանք	կգნար	կգნան

7. წარსული სრული — *Անցյაլ կատარյալ*

ზათიցի	գնացի	ზათիցինք	գնացինք
ზათიցիր	գնացիր	ზათիցիք	գնացիր
ზათიց	գնաց	ზათიցին	գնացին

